

სამელიორაციო მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

სამელიორაციო მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები (შემდგომში - ხელშეკრულების სტანდარტული პირობები) შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და აწესრიგებს შპს „საქართველოს მელიორაციას“ (შემდგომში - მიმწოდებელი) და ფიზიკურ და იურიდიულ პირ წყალმომხმარებლებს (შემდგომში - მომხმარებელი) შორის ურთიერთობას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, მის მფლობელობაში არსებული სამელიორაციო სისტემის საშუალებით, მომხმარებლის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის სამელიორაციო მომსახურება, რაც გულისხმობს სარწყავი წყლის მიწოდებას (ირიგაცია) ან ჭარბი წყლის მოცილებას (დრენაჟი). სამელიორაციო მომსახურების სახეს, შესაბამისი განაცხადის საფუძველზე განსაზღვრავს მომხმარებელი.
- 1.2. სამელიორაციო მომსახურების მისაღებად მომხმარებელმა, მიმწოდებლის შესაბამის სერვის ცენტრში უნდა წარადგინოს სამელიორაციო მომსახურების განაცხადი.

მუხლი 2. მომსახურების ხანგრძლივობა

- 2.1. სამელიორაციო მომსახურება შესაძლოა იყოს უვადო ან ერთჯერადი.
- 2.2. უვადო მომსახურება გულისხმობს სამელიორაციო მომსახურებას, მიმდინარე და ყოველი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში მანამ, სანამ მომხმარებელი ან მიმწოდებელი არ მოითხოვს მომსახურების შეწყვეტას.
- 2.3. ერთჯერადი მომსახურება გულისხმობს სამელიორაციო მომსახურებას მხოლოდ შესაბამისი (მიმდინარე) კალენდარული წლის განმავლობაში.

მუხლი 3. უვადო მომსახურების განაცხადი

- 3.1. უვადო მომსახურების განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამელიორაციო მომსახურების მიზნით.
- 3.2. უვადო მომსახურების განაცხადის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი მიწის ნაკვეთის: მესაკუთრეს, უზუფრუქტუარს, მეიჯარეს ან მათ რწმუნებულ პირს. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები.

3.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მომხმარებლის განაცხადი, თუ მომხმარებელს მიმწოდებლის მიმართ გააჩნია მომსახურების დავალიანება.

მუხლი 4. ერთჯერადი მომსახურების განაცხადი

4.1. ერთჯერადი მომსახურების განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ მიწის ნაკვეთის სამელიორაციო მომსახურების მიზნით, რომელიც:

ა) არ არის რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;

ბ) რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მაგრამ განმცხადებელს (მიწის ნაკვეთის მოსარგებლეს) არ გააჩნია მიწის ნაკვეთით სარგებლობის დამადასტურებელი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი (იჯარის ან უზუფრუქტის ხელშეკრულება).

4.2. ერთჯერადი მომსახურების განაცხადის წარდგენის უფლება აქვს შესაბამისი მიწის ნაკვეთის ფაქტობრივ მფლობელს (მოსარგებლეს) ან მის რწმუნებულ პირს.

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მომხმარებლის განაცხადი, თუ მომხმარებელს მიმწოდებლის მიმართ გააჩნია მომსახურების დავალიანება.

მუხლი 5. მომსახურების წესი

5.1. სამელიორაციო მომსახურებით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესაბამისად მიმწოდებელს წარუდგენს განაცხადს მომსახურების მიღების მოთხოვნით.

5.2. მიმწოდებელი მომხმარებლისთვის შესაბამის მიწის ნაკვეთზე სარწყავი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს განაცხადში მითითებულ პერიოდში.

5.3. სარწყავი წყლის უკმარისობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პირველ რიგში მრავალწლიანი კულტურების ირიგაციას, შემდეგ - უვადო სამელიორაციო მომსახურების მიწის ნაკვეთებსა და იმ მომხმარებლებს რომლებსაც განაცხადი წარდგენილი აქვთ მიმდინარე წლის 1 აპრილამდე.

5.4. მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდება შეიძლება დროებით შეჩერდეს:

ა) შესაბამის სამელიორაციო სისტემაზე სამშენებლო, სარეაბილიტაციო ან საექსპლუატაციო სამუშაოების წარმოების მიზნით;

ბ) შესაბამის სამელიორაციო სისტემაზე წარმოქმნილი ავარიული დაზიანებისას, რაც შეუძლებელს ხდის მომსახურებას;

გ) ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების იმგვარი გაუარესების შემთხვევაში, რაც შეუძლებელს ხდის მომსახურებას.

მუხლი 6. მომსახურების საფასური

- 6.1.სამელიორაციო მომსახურების საფასური დადგენილია სემეკის 2011 წლის 1 თებერვლის N2 დადგენილებით, რომლის მიხედვითაც:
- ა) აღმოსავლეთ საქართველოში სამელიორაციო მომსახურების - ირიგაციის (სარწყავი წყლის მიწოდების) საფასური შეადგენს ყოველ ჰექტარზე 75 ლარს წელიწადში;
 - ბ) დასავლეთ საქართველოში სამელიორაციო მომსახურების - სარწყავი წყლის მიწოდების (ირიგაციის) საფასური შეადგენს, ყოველ ჰექტარზე 45 ლარს წელიწადში, ხოლო - ჭარბი წყლის მოცილების (დრენაჟის) საფასური შეადგენს, ყოველ ჰექტარზე 40 ლარს წელიწადში.
- 6.2.მიმწოდებელი უფლებამოსილია მუდმივი მომხმარებლებისათვის პერიოდულად გააკეთოს სპეციალური შეთავაზებები (აქციები). სპეციალური შეთავაზებით სარგებლობის პირობები ქვეყნდება ვებ გვერდზე.

მუხლი 7. მომსახურების მიღება

- 7.1.მომხმარებლის მიერ მომსახურება მიღებულად ითვლება შესაბამის (მიმდინარე) წელს შესაბამის მიწის ნაკვეთზე სარწყავი წყლის მიღების ან ჭარბი წყლის მოცილების პირველივე შემთხვევისთანავე.
- 7.2.განაცხადით განსაზღვრულ პერიოდში მომსახურების მიუღებლობის შემთხვევაში, მომხმარებელმა განაცხადში მითითებული მომსახურების შესაბამისი პერიოდის ბოლო დღიდან 10 დღის ვადაში წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების მიუღებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მომსახურება ჩაითვლება მომხმარებლის მიერ მიღებულად.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

- 8.1.იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამელიორაციო მომსახურების საფასური გადახდილ უნდა იქნეს წინასწარ - შესაბამის წელს სამელიორაციო მომსახურების მიღებამდე.
- 8.2.იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამელიორაციო მომსახურების საფასურის გადახდა შესაძლებელია სარწყავი სეზონის დასრულების შემდეგ, მაგრამ არუგვიანეს შესაბამისი წლის პირველი ოქტომბრისა.
- 8.3. მომსახურების საფასურის წინასწარ გადახდას ექვემდებარება ასევე, ერთჯერადი მომსახურების განაცხადის საფუძველზე განხორციელებული ყველა მომსახურება.
- 8.4. ჭარბი წყლის მოცილების (დრენაჟის) მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს არუგვიანეს შესაბამისი წლის პირველი ოქტომბრისა.

- 8.5. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული წინასწარ გადასახდელი მომსახურების საფასური სრულად არ იქნება გადახდილი მომსახურების მიღებამდე (შესაბამისი მიწის ნაკვეთის პირველად მორწყვამდე), შესაბამისი მომსახურების განაცხადი ითვლება ბათილად და წყლით სარგებლობის ფაქტი განიხილება სარწყავი წყლის დატაცებად. სარწყავი წყლის დატაცება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ისჯება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 8.6. სარწყავი სეზონის დასრულების შემდეგ გადასახდელი მომსახურების საფასურის პირველ ოქტომბრამდე გადაუხდელობის შემთხვევაში, მომხმარებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება, თუ დარიცხული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება მიაღწევს მომსახურების ღირებულების 100%-ს.
- 8.7. მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის გადარიცხვით. მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებია: ბანკი: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის ნომერი: GE47TB7484734030100002

მუხლი 9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. მომხმარებელს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს სრული ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მომსახურების შესახებ;
- ბ) წარადგინოს განაცხადი მომსახურების მიღების მოთხოვნით;
- გ) შეუფერხებლად მიიღოს სრული ინფორმაცია მომსახურების შეჩერების, შეზღუდვის ან შეწყვეტის თაობაზე, შესაბამისი გამომწვევი მიზეზისა და მომსახურების აღდგენის დროის მითითებით;
- დ) მომსახურების მიუღებლობის შემთხვევაში არ გადაიხადოს (ან დაიბრუნოს უკვე გადახდილი) შესაბამისი მომსახურების საფასური.

9.2. მომხმარებელი ვალდებულია:

- ა) შეასრულოს წინამდებარე სტანდარტული პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური;
- ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს მისი საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ელ.ფოსტა, ტელეფონის ნომერი, მინდობილი პირი; იურიდიული პირის შემთხვევაში დამატებით ასევე - საიდენტიფიკაციო ნომერი, სამართლებრივი ფორმა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი) ან/და მოსარწყავი ფართობის ცვლილების შესახებ;

გ) მიმწოდებელს აცნობოს უვადო მომსახურების განაცხადით გათვალისწინებული პირობების ცვლილების შესახებ.

9.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, მათ შორის, დაადგინოს მომსახურებისა და ანგარიშსწორების ახალი პირობები;

ბ) სამელიორაციო ინფრასტრუქტურაზე განახორციელოს საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებები (რომელიც ემსახურება მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას, მათ შორის ახალი ტექნოლოგიების დანერგვას), რასაც შეიძლება მოჰყვეს მომსახურების შეჩერება, შეზღუდვა ან გაუარესება.

გ) მომხმარებელს მოსთხოვოს მომსახურების საფასურის დროულად გადახდა და დავალიანების ამოღების მიზნით გაატაროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესაბამისად უზრუნველყოს მომხმარებლის ჯეროვანი მომსახურება;

ბ) უზრუნველყოს სამელიორაციო მომსახურებასთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მომხმარებლისათვის;

გ) წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ნებისმიერი ცვლილება გამოაქვეყნოს ვებ გვერდზე www.ag.ge;

დ) განიხილოს მომსახურებასთან დაკავშირებული მომხმარებლის საჩივარი.

მუხლი 10. ფორს მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს მაჟორით.

10.2. ფორს მაჟორი – სტიქიური უბედურება, ტექნოგენური კატასტროფა, სახელმწიფო გადატრიალება, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართვებლობის ორგანების მიერ დაწესებული შეზღუდვები ან/და აკრძალვები, ასევე სხვა ისეთი გარემოებები, რომელთა წარმოშობაზე, განვითარებასა და მართვაზე გავლენის მოხდენა მხარეებს არ შეუძლიათ.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა და დავის გადაჭრის წესი

11.1. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2. მხარეთა შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა უნდა მოგვარდეს მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მოქმედების ვადა

- 12.1. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობები ძალაში შედის სამელიორაციო მომსახურების განაცხადის რეგისტრაციისთანავე.
- 12.2. უვადო მომსახურების განაცხადის შემთხვევაში, ხელშეკრულება მოქმედებს უვადოდ. ერთჯერადი მომსახურების განაცხადის შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებს შესაბამისი (მიმდინარე) წლის განმავლობაში.
- 12.3. სამელიორაციო მომსახურების განაცხადის წარდგენით მომხმარებელი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს.
- 12.4. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია მიმწოდებლის სერვის ცენტრებში და ვებ გვერდზე: www.ag.ge.
- 12.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მომხმარებელი დადგენილ ვადაში არ გადაიხდის მომსახურების საფასურს.
- 12.6. მომხმარებელი უფლებამოსილია მომსახურების მიღებამდე შესაბამისი წერილობითი განცხადებით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 13. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცვლილება

- 13.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად, მომხმარებლის თანხმობის გარეშე, განახორციელოს ცვლილებები წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში.
- 13.2. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება უნდა განთავსდეს მიმწოდებლის ყველა სერვის ცენტრის საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნდეს ვებ გვერდზე www.ag.ge.
- 13.3. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში განხორციელებული ცვლილება ძალაში შედის ვებ გვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.